ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2021 წლის ----- მარტი

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესი, დანართი №1-ს შესაბამისად;

ბ) ტროტუარის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიაზე სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსების დასაშვები პარამეტრების ცხრილი (ველობილიკის გამოკლებით), დანართი №2-ს შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2011 წლის 10 თებერვლის №8 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 02.03.2011წ., №240130000.35.132.016037).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 01 მაისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და ამოცანები

1. ეს წესი არეგულირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ადგილ(ებ)ის განსაზღვრის და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსების, ასევე ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის წესებს.

2. ამ წესის ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვა;

ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვა;

დ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გარე ვაჭრობა:

ა.ა) ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან (ჯიხური, მაცივარი, სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა);

ა.ბ) ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობიდან, თუ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ხდება ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის (ჯიხური, მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა) მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსება;

ბ) ნივთის რეალიზაცია – გაყიდვის ან სხვა სახით გასაღების მიზნით ნივთის შენახვა და ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა;

გ) მომსახურების გაწევა – სხვა პირის სასარგებლოდ სასყიდლით ან უსასყიდლოდ ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რაც ამ წესის შესაბამისად არ განიხილება ნივთის რეალიზაციად.

მუხლი 3. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა

1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა დასაშვებია მხოლოდ საამისოდ განსაზღვრულ ადგილებზე. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრას საკუთარი ინიციატივით ან/და დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში - აღმასრულებელი ორგანო).

2. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის მიზნით აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეული ან რამოდენიმე ან/და ყველა საზოგადოებრივი სივრცისათვის დაამტკიცოს გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა.

3. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) ქალაქის განვითარების ინტერესები;

ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;

გ) სატრანსპორტო ნაკადი;

დ) საზოგადოებრივი სივრცეების გამტარუნარიანობა;

ე) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

ვ) საგზაო მოძრაობის წესები;

ზ) ეკოლოგიური მდგომარეობა;

თ) საზოგადოების სხვა ინტერესები.

4. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრასთან ერთად აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის თითოეული ან რამდენიმე ან/და ყველა ადგილისათვის დაადგინოს იმ ნივთების სახეობა ან/და ზუსტი ჩამონათვალი, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია ან/და აკრძალულია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე, ასევე დაადგინოს იმ კონსტრუქციების სახეობები ან/და მათი არქიტექტურული იერსახე, რომელთა განთავსებაც დასაშვებია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე.

5. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა შეიძლება მოხდეს არა უმეტეს ორი წლის ვადით ან სეზონურად, მათ შორის, კვირის კონკრეტული დღეებისათვის. თუ გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება სეზონურად, გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განისაზღვროს ვადა, რომლითაც ადგილი განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილად.

6. აღმასულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის ადგილებად განსაზღვროს ერთი ან რამდენიმე ქუჩა იმდაგვარად, რომ აღნიშნულ ქუჩებში მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს ან/და სხვაგვარად შეიზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

7. ტროტუარის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ან/და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსების ადგილები განისაზღვრება ამ დადგენილების დანართი №2-ს შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

8. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ აღნიშნულ ადგილზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსებამ არ დააბრკოლოს ან სხვაგვარად არ შეზღუდოს მიწის ვაკისის სავალ ნაწილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ან არ შეზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ხილვადობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 4. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემა, სარგებლობის ქირის საფასური და მისი განსაზღვრის წესი და გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით მიმღები პირის პასუხისმგებლობა

1. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემა ხდება სასყიდლით. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცე სარგებლობის უფლებით შეიძლება გაიცეს პირდაპირი განკარგვის ან აუქციონის წესით, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე, გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემას ახდენს აღმასრულებელი ორგანო, პირდაპირი განკარგვისას მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულო) თანხმობით.

3. გარე ვაჭრობისთვის განსაზღვრულ ადგილზე გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლების მოპოვებისთვის ან უფლების ვადის გაგრძელებისათვის, დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში - მერია).

4. განცხადება შედგენილი უნდა იყოს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 78-ე მუხლის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს:

ა) დაინტერესებული პირის სახელს და მისამართს;

ბ) გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ადგილის ზუსტ დასახელებას;

გ) მითითებას, რომ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე, რომელზეც ითხოვს გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლების მოპოვებას, უზრუნველყოფს სისუფთავის დაცვას;

დ) მითითებას, რომ სრულად და ჯეროვნად შეასრულებს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილისათვის დაწესებულ მოთხოვნებს;

ე) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც დაინტერესებული პირის აზრით მნიშვნელობა აქვს საკითხის განხილვისას.

5. განცხადებას უნდა დაერთოს დაინტერესებული პირის პირადობის მოწმობის ასლი, საჭიროებისას საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სავაჭრო-სარეალიზაციო დანიშნულების განსათავსებელი ნივთის არქიტექტურული ესკიზი (პროექტი, ფოტო) A-4 ფორმატზე, ზომების ჩვენებით, განთავსების ადგილის პანორამული ფოტოესკიზი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია ასევე ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

6. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლების ვადის გაგრძელებით დაინტერესებული პირი ვალდებულია განცხადებას დაურთოს სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთის არქიტექტურული ესკიზი ან ესკიზური ნახაზი ან ფოტოესკიზი, ნებართვის გაცემის დღიდან განთავსებული ნივთების შესაბამისად (უცვლელ მდგომარეობაში).

7. აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანება, წერილი) სახით ან დაინტერესებულ პირსა და აღმასრულებელ ორგანოს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი უნდა ადგენდეს:

ა) გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლების ვადას. თუ პირს სარგებლობის უფლება ეძლევა იმ ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია სეზონური გარე ვაჭრობის ადგილად, სარგებლობის უფლება არ შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნული ადგილისათვის განსაზღვრულ ვადას;

ბ) გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობისათვის ქირის საფასურს;

გ) საფასურის გადახდის ვადებს;

დ) საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას პირგასამტეხლოს ოდენობას;

ე) ანგარიშის ნომერს, რომელზეც უნდა მოხდეს საფასურის გადახდა ან/და დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა;

ვ) მითითებას, რომ პირი ვალდებულია გარე ვაჭრობა განახორციელოს მხოლოდ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ იმ ადგილზე და იმ საზღვრებში, რომელზეც მიეცა გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლება;

ზ) მითითებას გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე დასუფთავების წესების (სისუფთავის) დაცვის ვალდებულებაზე;

თ) მითითებას წყლის და დასუფთავების მოსაკრებლის/საფასურის გადახდის ვალდებულებაზე;

ი) მითითებას გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი/ხელშეკრულება) გაუქმების საფუძვლების თაობაზე;

კ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლების გადაცემისათვის.

9. თუ ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ხდება ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობიდან, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ხდება ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის (ჯიხური, მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა) მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსება, პირს გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სასყიდლიანი სარგებლობის უფლება გადაეცემა პირდაპირი განკარგვის წესით აღმასრულებელი ორგანოს მიერ, საკრებულოს თანხმობით, თუ აღნიშნული საზოგადოებრივი სივრცე ამ წესის მე-3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილად.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ პირს, რომლის საკუთრებაში იმყოფება უშუალოდ საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ არსებული ის მიწის ნაკვეთი ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საიდანაც ხდება ნივთის რეალიზაცია/მომსახურების

გაწევა. თუ მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე და მოსარგებლე სხვადასხვა პირია, ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლება ენიჭება პირს, რომლის სარგებლობაში და შესაბამისად პირდაპირ მფლობელობაშიც იმყოფება შენობა-ნაგებობა, საიდანაც ხდება ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა, ხოლო უფლება გაიცემა შენობა-ნაგებობის სარგებლობის ვადით, მაგრამ არა უმეტეს წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვადისა.

11. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის ქირის საფასურის ოდენობა და გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით მიმღები პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესები“-თ. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის ქირის საფასურის ამოღებას ახორციელებს მერია.

12. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესები“-თ და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები“-თ.

მუხლი 5. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება

1. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობა ან/და ისეთი ნივთი, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მიხედვით არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობას და შესაბამისად არ მიეკუთვნება რომელიმე კლასს (მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა), თუმცა აღნიშნული ნივთები განკუთვნილია უშუალოდ გარე ვაჭრობისათვის.

2. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ტროტუარის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიაზე განთავსებული I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობა ითვლება დროებით შენობა-ნაგებობად და გადაწყვეტილება არქიტექტურული ესკიზის შეთანხმების თაობაზე ძალაშია გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობა-ნაგებობობის დემონტაჟი (დაშლა, დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა.

3. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა ხდება საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ გათვალისწინებული წესით. ამასთანავე, გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისას, პირი ვალდებულია განცხადებას დამატებით დაურთოს გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

4. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე ისეთი ნივთის განთავსება, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და

პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მიხედვით არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობას და შესაბამისად არ მიეკუთვნება რომელიმე კლასს (მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი და სხვა), თუმცა აღნიშნული ნივთები განკუთვნილია უშუალოდ გარე ვაჭრობისათვის, დასაშვებია აღმასრულებელი ორგანოს მიერ საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის გათვალისწინებული წესის შესაბამისად შეთანხმებული არქიტექტურული ესკიზის საფუძველზე.

მუხლი 6. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება

1. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს უფლების გამცემისა და უფლების მიმღები პირის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

2. უფლების გამცემი ორგანოს მხრიდან ცალმხრივად გაუქმების საფუძველია:

ა) გაფრთხილების მიუხედავად, დაწესებულ ვადაში უფლების მიმნიჭებელი აქტით ან წინამდებარე წესით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, მათ შორის, გაფრთხილების მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებების განმეორებით დარღვევა ან/და დარღვევის გამოუსწორებლობა;

ბ) დაკისრებული პირგასამტეხლოს დაწესებულ ვადაში გადაუხდელობა;

გ) გაფრთხილების მიუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;

დ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადგილს, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, აღარ განსაზღვრავს გარე ვაჭრობის ადგილად;

ე) ადგილი, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, საჭიროა კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის.

3. გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილება, უფლების გამცემის ან/და უფლების მიმღები პირის მიერ ცალმხვივად შეიძლება გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძველითაც, რომლებიც ამ წესით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

4. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, უფლების მიმღებ პირს არ დაუბრუნდება უკვე გადახდილი საფასური, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული უფლების მიმნიჭებელი აქტით, ასევე, არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადაწყვეტილების გაუქმება უფლების გამცემი ორგანოს მიერ მოხდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ან/და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით ან/და გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად უდევს უფლების გამცემის ბრალეული ქმედება.

5. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობისათვის საზოგადოებრივი სივრცის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში უფლების მიმღები პირი ვალდებულია დაუყონებლივ წაიღოს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლების გამცემი უფლებამოსილია თვითონ მოახდინოს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილის უფლების მიმღები პირის მიერ განთავსებული ნივთებისაგან გათავისუფლება, რა დროსაც უფლების გამცემს არ აკისრია აღნიშნული ნივთების დაცვისა და შენახვის ვალდებულება.

მუხლი 7. ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის ძირითადი პირობები

1. ამ მუხლის შესაბამისად სავალდებულოა მოეწყოს ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორია, თუ ნივთის რეალიზაცია ხდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმიდან ან/და არასტაციონალური კონსტრუქციიდან ან/და მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში იმდაგვარად, რომ ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სავალდებულოა ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორია მოეწყოს იმდაგვარად, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმა ან/და არასტაციონალური კონსტრუქცია ან/და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა), რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს, არ ჩანდეს საზოგადოებრივი სივრციდან.

3. აკრძალულია ბაზრის ან/და ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გამოყენებით გარე ვაჭრობის განხორციელება.

4. ბაზარი ან/და ბაზრობა უნდა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე დარჩეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საკმარისი ადგილები.

5. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებისას და მშენებლობის ნებართვის გაცემისას დაიცვას ამ მუხლის მოთხოვნები.

6. ამ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება ბაზრობის მიმართ, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ბაზრობისათვის.

7. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება ბაზრისა და ბაზრობების მიმართ, როცა ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტების (დახლი, მცირე არქიტექტურული ფორმები და სხვა) ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსება ხდება აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებული ესკიზის (არქიტექტურული ესკიზი) შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტების (დახლი, მცირე არქიტექტურული ფორმები და სხვა) ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსების სქემას, წყობას და არქიტექტურულ იერსახეს.

მუხლი 8. საგამონაკლისო რეგულირება

1. აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია უქმე დღეებისათვის, ასევე ბათუმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დღეებისათვის განსაზღვროს ადგილები, სადაც გარე ვაჭრობა დასაშვებია წინამდებარე წესის მე-3-მე-6 მუხლების დაუცველად, ასევე განსაზღვროს აღნიშნულ ადგილებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსების პირობები.

2. აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია საზოგადოებრივ სივრცეებში განსაზღვროს ადგილები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ბაზრობისათვის, ასევე შეიმუშაოს და დაადგინოს აღნიშნული ადგილებით სარგებლობის სხვა მოთხოვნები.

მუხლი 9. წესის დარღვევა

1. ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ამ წესის შესაბამისად ითვლება გარე ვაჭრობად, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს წესის მოთხოვნებს, ითვლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153^3 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.

2. „სუნელებისა და სანელებლების წარმოებასთან, გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით რისკის მართვის დროებითი ზომების მიღების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის №73 დადგენილების თანახმად, დაუშვებელია სუნელებითა და სანელებლებით გარე ვაჭრობა.

დანართი №2

ტროტუარის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიაზე სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსების დასაშვები პარამეტრების ცხრილი (ველო ბილიკის გამოკლებით)

№	საზოგადოებრივი ადგილების (ტროტუარი და სხვა) სიდიდე (მ)	ხილ-ბოსტნეულის ვერტ. დახლის კონსტრუქცია, სავაჭრო მოწყობილობა	მაგიდა სკამების განთავსება საზ. ადგილებში (ტროტუარი და სხვა) (მ)	ღია ან დახურული კაფე-რესტორანის მოწყობა (მ)	საზ. ადგილების (ტროტუარი და სხვა) დარჩენილი სიფართე (მ)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1.	1,5	_	_	_	1,5	
2.	2.0	_	_	_	2.0	
3.	2,5	_	_	_	2,5	
4.	3.0	0,75		_	2,3	
5.	3,5	0,75		_	1,8	
6.	4.0	0,75	2.0	2.0	1,8	
7.	4,5	0,75	2,5	2,5	1,8	
8.	5.0	0,75	3.0	3.0	2.0	
9.	5,5	0,75	3.0	3.0	2,5	
10.	6.0	0,75	3.0	3.0	3.0	
11.	6,5	0,75	3.0	3.0	3,5	
12.	7.0	0,75	3,5	3,5	3,5	
13.	7,5	0,75	3,5	3,5	4.0	
14.	8.0	0,75	4.0	4.0	4.0	
15.	8,5	0,75	4.0	4.0	4,5	
16.	9.0	0,75	4	4	5.0	
17.	9,5	0,75	4,5	4,5	5.0	
18	10.0	0,75	4,5	4,5	5,5	

შენიშვნა: პარამეტრები აღებულია სავაჭრო ობიექტის კედლიდან (ტროტუარი) ბორდიურამდე მანძილი

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ადგილ(ებ)ის განსაზღვრის და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსების, ასევე ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის წესების განსაზღვრა, რომლითაც მოწესრიგებული იქნება გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის, საზოგადოებრივი სივრცეების სარგებლობის, გარე ვაჭრობის დროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობისათვის ქირისა და სხვა აუცილებელი საკითხები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ ნებართვები აღარ გაიცემა და გარე ვაჭრობა განხორციელდება მერიის მიერ გაცემულ სარგებლობით მიღებულ ტერიტორიაზე, შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესი ყალიბდება ახალი რედაქციით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის და ტროტუარის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიაზე სავაჭრო-სარეალიზაციო ნივთების განთავსების დასაშვები პარამეტრების ცხრილის (ველობილიკის გამოკლებით) დამტკიცება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის მ/შ — დავით კოპინაძე